ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტული გზები

პარმენ ლემონჯავა,
ვახტანგ დათაშვილი
სტუ-ს პროფესორები

ჭეშმარიტებაა, რომ მაღალი კულტურის ცნება გულისხმობს საზოგადოების ეკოლოგიურ კულტურასაც, გონივრულ დამოკიდებულებას ეკოლოგიური პრობლემებისადმი და ბუნების სიმდიდრეთა შენარჩუნება-გამრავლებას.

ბუნების დაცვისა და გამოყენების დარგში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საგანმანათლებლო-აღმზრდელობით მუშაობას და კადრების მომზადებას. ამ მიზნით მსოფლიოს მრავალი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებულია სპეციალური დისციპლინები, რომლებიც დაკავშირებულია ბუნების დაცვისა და გამოყენების პრობლემებთან. მაგალითად, ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების ზოგიერთ ფაკულტეტზე სავალდებულო წესით იკითხება ბუნების გამოყენების ეკონომიკის კურსი, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფაკულტეტებზე ბუნების დაცვისა და გამოყენების სამართლებრივი საფუძვლების შესწავლის საკითხებს, ბუნების გამოყენების ეკონომიკის დარგში მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის წარმოებს სხვადასხვა მეთოდური ხასიათის მასალების გამოცემას, შექმნილია საკონსულტაციო პუნქტები, ეკოლოგიური პრობლემების საფუძვლების შესწავლის მიზნით უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებისათვის შექმნილია სპეციალური კურსები.

ბუნების დაცვის დარგში განათლების საკითხების სწორად გადაწყვეტამ, არსებითი გავლენა უნდა მოახდინოს თანამედროვე სამყაროში ეკონომიკური, პოლიტიკური და ეკოლოგიური მოვლენების ურთიერთდამოკიდებულების გონივრულ გააზრებაზე. ეკოლოგიური პრობლემის ჯეროვან მეცნიერულ დონეზე დაყენების საბოლოო მიზანია მოსახლეობამ იცოდეს სიცოცხლის უზრუნველყოფისა და ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნების, მისი რესურსების როლი და მნიშვნელობა.

ეკოლოგიის დარგში განათლება წარმოადგენს არსებობის მანძილზე განუწყვეტლივ შესასრულებელ ამოცანას, რადგან ის უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანსა და ბუნებას შორის უწყვეტ ურთიერთობასთან. ეკოლოგიის დარგში განათლების საკითხების გადაწყვეტა მოითხოვს შემუშავდეს სასწავლო პროგრამა, რომელშიც ასახული იქნება ცოცხალი სამყაროს არსებობისათვის ბუნების როლისა და მნიშვნელობის, მისი აუცილებლად დაცვის საჭიროების დამასაბუთებელი საკითხები. ეკოლოგიის დარგში განათლების საკითხები შეტანილ უნდა იქნეს, როგორც დაწყებითი და საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების, როგორც ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, ისე დოქტორანტურის სასწავლო პროგამებში.

ეკოლოგიური პროფილით მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით მიზანშეწონილია ნებისმიერ ქვეყანაში შეიქმნას სპეციალური ორგანო, რომელიც უხელმძღვანელებს საერთოდ ეკოლოგიური განათლების სისტემას.

ეკოლოგიის დარგში განათლების ეფექტიანობის მიღწევისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ყველა საშუალება, რომელიც გააჩნია საზოგადოებას მოსახლეობის განათლებისათვის,

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროექტების შედგენისა და მისი განხორციელების დროს ყურადღება უნდა მიექცეს როგორც ეკოლოგიურ, ისე სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობას, საჭიროა ეკოლოგიური განათლების მქონე სპეციალისტების მომზადება. ამიტომ, პირველ ეტაპზე, მიზანშეწონილია, უპირველეს ყოვლისა, ეკოლოგიური განათლება მიეცეს ეკონომისტებს, ინჟინერ-კონსტრუქტორებს, არქიტექტორებს, სამედიცინო პერსონალს, მასწავლებლებს, ადმინისტრატორებს და ა.შ. ამ მიზნით მიზანშეწონილია ყველა უმაღლეს სასწავლებელში იკითხებოდეს ბუნების გამოყენების ეკონომიკაში ლექციების კურსი. **ახლო პერსპექტივაში კი მიზანშეწონილია ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტებში გაიხსნას „ბუნების გამოყენების ეკონომიკის" სპეციალობა.** ეს უკანასკნელი კი შესაძლებელს გახდის ეკონომიკის ყველა დარგს, ჰყავდეს ეკოლოგიის სპეციალისტები და ჰქონდეთ სპეციალური სამსახური. ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა სისტემის გატარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, სხვა მომენტებთან ერთად, მოსახლეობის ეკოლოგიურ განათლებასა და აღზრდას. ასეთი ღონისძიებების გატარებით პრაქტიკულად ჩამოყალიბდება ახალი ეკოლოგიური აზროვნება, რომელიც დაეყრდნობა ბუნების გამოყენების დიალექტიკურ დასაბუთებას, რაც შესაძლებლობას შექმნის სრულყოფილი იქნეს ბუნების დაცვისა და მისი რესურსების გამოყენების პროცესი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო უნივერსიტეტებშიც დაუხანებლად გაიხსნას **„ბუნების გამოყენების ეკონომიკის" სპეციალობა**, ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ჩამოყალიბდეს სამმართველო, რომელიც უხელმძღვანელებს ამ დარგში განათლებას და კვალიფიციური კადრების მომზადებას.